

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 054/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი ანა ქურდაძე

ფაქტები

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ დავაზე. წინასწარ განისაზღვრა ჰონორარის გადახდის წესი და ოდენობა და საქმის ყველა ისტანციაში წარმოება. ამის შემდგომ ადვოკატი კლიენტს არ უკავშირდებოდა საქმის მიმდინარეობის შესახებ, არ აწვდიდა კლიენტს მისი საქმის მსვლელობის შესახებ ინფორმაციას, კლიენტის ყოველი მცდელობისას, ადვოკატისაგან მიეღო მისი საქმის შესახებ ინფორმაცია, შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზოგადი განმარტებით და დაიმედებით, რომ ყველაფერი კარგად იყო. კლიენტი სამჯერ შეხვდა ადვოკატს, ბოლო შეხვედრაზე გადასცა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელი თანხა სასამართლოში, რადგან ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ვადა არ გასულიყო. ადვოკატმა თვითნებურად, ისე რომ კლიენტს არც შეთანხმებია, საქმეში ჩართო სხვა ადვოკატი, ადვოკატმა კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია გათქვა მასთან შეთანხმების გარეშე. ადვოკატის ქმედებით კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია სრულად აღმოჩნდა მესამე, არაუფლებამოსილი პირის ხელში.. ახალ ადვოკატს კლიენტი უკავშირდებოდა, რომ გაეგო თუ რა ეტაპზე იმყოფებოდა მისი საქმე, მაგრამ ახალი ადვოკატიც ირიდებდა ნაკისრ ვალდებულებას, კლიენტს ატყუებდა რომ რეესტრიდან ელოდება საბუთებს, შემდეგ კი მოითხოვა საქმის წარმოებისათვის საჭირო თანხა 300 ლარის ოდენობით. ამის ფონზე კლიენტს გაუჩნდა ადვოკატის მიმართ უნდობლობა, რადგან ვერ გაიგო თუ ვინ იყო მისი ადვოკატი და ვინ გაუწევდა წარმომადგენლობას საქმეზე. კლიენტმა ახალ ადვოკატზე შეიტყო, რომ ახალ ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ შეჩერებული ჰქონდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.

პროცესუალური ისტორია

დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის, მე-4 მუხლის პირველი ნაწილის, მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების შესაძლო დარღვევის გამო.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატსა და კლიენტს ან უფლებამოსილ პირს შორის შეთანხმება ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის განხორციელების თაობაზე, კლიენტს აძლევს შესაძლებლობას იყოს ინფორმირებული მისი ინტერესების წარმომადგენლის შესახებ, ჰქოდეს ადვოკატთან კომუნიკაცია და უშუალოდ მისგან მიიღოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე.

მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მხრიდან დადგინდა საქმის მიმდინარეობის შესახებ კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დარღვევა, რადგან ადვოკატი არ აწვდიდა კლიენტს მისი საქმის მსვლელობის შესახებ ინფორმაციას, კლიენტის ყოველი მცდელობისას, ადვოკატისაგან მიეღო მისი საქმის შესახებ ინფორმაცია, შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზოგადი განმარტებით და დაიმედებით, რომ ყველაფერი კარგად იყო; ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისას

¹ <https://gba.ge/pdf/5c471fcce4137.pdf/5c471fcce4137.pdf>



კლიენტის ინტერესებისადმი ამგვარი დამოკიდებულება არის გულგრილი დამოკიდებულება საქმისადმი.

რწმუნებულს შეუძლია, რომ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად გადასცეს სხვა პირს, თუ აქვს შესაბამისი პირის თანხმობა საქმის სხვა პირისათვის გადანდობის თაობაზე. ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულება უზღუდავს ადვოკატს უფლებას ისე ჩართოს სხვა ადვოკატი საქმეში და გადასცეს მას კლიენტის საქმის მასალები რომ კლიენტი არ იყოს ინფორმირებული. ადვოკატმა საქმე ისე გადაანდო სხვა ადვოკატს და გადასცა კლიენტის საქმის მასალები, რომ ამ უკნასკნელთან არ შეუთანხმებია, კლიენტისგან არ ჰქონია მინიჭებული ასეთი უფლებამოსილება.

საქმის მასალები არის კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია და ადვოკატმა კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია გათქვა მასთან შეთანხმების გარეშე. ადვოკატის ქმედებით კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია სრულად აღმოჩნდა მესამე, არაუფლებამოსილი პირის ხელში.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ დისციპლინარული ზემოქმედების ფორმად განისაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.